



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 351

12 ივლისი
“ --- ” ----- 2024 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულისა ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური- საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 28 ივნისის №24.1134.1276 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულისა ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური-საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01241622814-67 (№0124163855-67; №01241641277-67; №01241713536-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჟივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1134.1276
28 / ივნისი / 2024 წ.

**„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების
გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური-
საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85
განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის
კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 10 ივნისს N01241622814-67 (N0124163855-67; N01241641277-67; N01241713536-67) განცხადებით მიმართა გიორგი მხეიძემ (პ/ნ 60002018121) და მოითხოვა „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური- საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N30დ; ქალაქ თბილისში, დიმიტრი გულიას ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.004.073; N01.18.09.004.074); საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 13 697 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).



საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85 განკარგულებით, რომლის შესაბამისადაც:

საპროექტო ფუნქციური ზონირება; საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

სექტორი 1 (12 197 კვ.მ)

განაშენიანების ფართი: 8 530 კვ.მ. (კ-1-0.7)

ფართი გარე კონტურში: 60 985 კვ.მ. (კ-2-5.0)

სექტორი 2 (1500 კვ.მ.)

განაშენიანების ფართი: 1 050 კვ.მ. (კ-1-0.7)

ფართი გარე კონტურში: 7 500 კვ.მ. (კ-2-5.0)

საზოგადოებრივ-საქმიანი კ2 ფართი = 20 545,5 კვ.მ. (30%)

საცხოვრებელი კ2 ფართი = 47 939.5 კვ.მ. (70%)

საშუალო კ-1 = 0.7 - 9 587 კვ.მ.

საშუალო კ-2 = 5.0 - 68 485 კვ.მ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N72 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომლის მიხედვითაც კორექტირება შეეხო მხოლოდ სექტორ N1-ზე (12197 კვ.მ) ფუნქციური პროცენტულობის გადანაწილების ცვლილებას, კერძოდ, დაზუსტდა კ-2 საანგარიშო ფართის მაჩვენებელი, ასევე, - 70% საცხოვრებელი და 30% კომერციულის ნაცვლად, დადგინდა 85% საცხოვრებელი და 15% კომერციული;

მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

არეალის ჯამური ფართობი: 13 697 კვ.მ.

შენობის რაოდენობა - 4 (ბლოკი-5).

სექტორი N1

ტერიტორიის ფართობი: 12 197 კვ.მ.

(კ-1-0.7) (კ2 - 5,0)

საანგარიშო ფართობი: 61 521,67 კვ.მ. (კ2 - 5,0);

ფუნქციური გადანაწილება: 85%- საცხოვრებელი; 15%- საზოგადოებრივი.

85% საცხოვრებელი - 52 293,42 კვ.მ.

სხვაობა განაშენიანების რეგულირების გეგმით შეთანხმებულსა (70%-სა) და წარმოდგენილ კორექტირებულ (85%) საცხოვრებელი დანიშნულების კ2-ების ფართობებს შორის - 9 603,92 კვ.მ.

მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებული იქნა სხვაობის 4 %-ის (384,16 კვ.მ.) შესაბამისი ფასის გადახდა.

სექტორ 2-ში ფუნქციური გადანაწილება (70%-საცხოვრებელი; 30%-კომერციული) და სხვა ტექნიკური მაჩვენებლები დარჩა უცვლელი.

არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

N01241622814-67 (N0124163855-67; N01241641277-67; N01241713536-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ეხება მხოლოდ ერთ მიწის ნაკვეთს, კერძოდ, N01.18.09.004.074 საკადასტრო ერთეულს; ფართობი - 12 197 კვ.მ, საპროექტოდ გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობების განთავსების არეალების ცვლილება, ასევე, იცვლება შეთანხმებული შენობების რაოდენობა და სართულიანობა. კერძოდ, 3 შენობის ნაცვლად, განთავსდება 1 შენობა-ნაგებობა და საპროექტო სართულიანობა იქნება 31 მიწისზედა სართული (მაქსიმალური სიმაღლე 104 მეტრი). საპროექტოდ მცირდება კ1 კოეფიციენტი და ნაცვლად 0.7-სა, გათვალისწინებულია კ-1- 0.5.

მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ნაკვეთი N1 - 12 197 კვ.მ.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

კ-1=0,5 (6635 კვ.მ.)

კ-2=5,0 (61 522 კვ.მ.)

კ-3=0,3 (3659,1 კვ.მ.)

შენობის რაოდენობა - 1.

სართულიანობა- 31 მიწისზედა სართული.

მაქსიმალური სიმაღლე - 104 მეტრი.

სექტორ 1-ში ფუნქციური გადანაწილება (85%- საცხოვრებელი; 15%-კომერციული) და მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებული სხვაობის 4 %-ის (384,16 კვ.მ.) შესაბამისი ფასის გადახდა რჩება უცვლელი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 იანვრის N24.70.85 განკარგულება) .

სექტორ 2-ში ფუნქციური გადანაწილება (70%-საცხოვრებელი; 30%-კომერციული) და სხვა ტექნიკური მაჩვენებლები რჩება უცვლელი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის N01241722353 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 20 ივნისის N01241723191 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 11 ივნისის N61-01241633301 წერილის თანახმად, N01.18.09.004.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს საპრივატიზებო ობიექტს და სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორია, ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური- საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01241622814-67 (N0124163855-67; N01241641277-67; N01241713536-67)

განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:


1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური- საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.


3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე

[illegible][illegible]

C.Z.L.F.Z.1. მიწის ნაკვეთების განაწილების
შედეგად

თბილისი, 2024 წლის ივნისი

[illegible]

[illegible]

[illegible]



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01241633301
თარიღი: 11/06/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს
ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2024 წლის 11 ივნისის N16-01241631489 (11.06.23 N17-01241631569-61) წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გულუასა და გორგასლის ქუჩებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირების საკითხს. ვინაიდან, წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით, იგეგმება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.18.09.004.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივ სივრცედ ჩათვლა, ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 01.18.09.004.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს საპრივატიზებო ობიექტს და სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორია, ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01241722353**
თარიღი: **20/06/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 19 ივნისის №01241713536-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დიმიტრი გულიას ქუჩის №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.004.074; არსებული ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); საპროექტო ზონა: სსზ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **59 ძირი (ს/კ: 01.18.09.004.074 - №392, №423, №629, №1009, №378, №399, №687, №716, №147, №5, №143, №180, №185, №187, №379, №381-385, №395, №400-404, №409-411, №417-421, №539, №614-№615, №678, №705, №769, №826, №841, №848, №850-852, №859-860, №937, №1036, №6-7, №144, №306, №415, №14, №140, №837, №1044)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **195 ძირი (ს/კ: 01.18.09.004.074 - №1, №3, №15, №20, №23, №27, №30, №131-133, №181-183, №188-202, №204-211, №215-219, №222-224, №226-230, №232-236, №238-240, №242-243, №246-258, №260-272, №274-276, №279-280, №284, №289-294, №297-298, №300-302, №305, №380, №386-390, №394, №398, №406-408, №412-414, №439, №440-442, №445-446, №449-457, №459-460, №462-467, №474-476, №478-480, №485-487, №496-512, №514-521, №530, №533-535, №537-538, №561-565, №572-576, №585-586, №627, №686, №926)** ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის წვერზე, ზეხმელი, სმოხადი ხეებისაგან გამომავალ უფლებების მიზნით, სამსახური თანახმაა მოიჭრას საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **132 ძირი (ს/კ: 01.18.09.004.074 - №203, №212-214, №220-221, №225, №231, №237, №241, №244-245, №259, №273, №281, №285-288, №295, №303-304, №377, №443-444, №447-448, №458, №468-473, №477, №482-483, №494, №513, №566-571, №700-701, №704, №712-713, №734-735, №745, №776, №796, №830, №840, №844, №855-856, №889, №904, №908-912, №929, №936, №947-956, №992, №1000, №1004-1006, №1007, №1009, №2, №184, №906, №994, №905, №907, №145, №491-493, №995-999, №277, №282, №557-559, №622-623, №679, №142, №540-541, №545, №688, №148, №324-325, №339-342, №481, №484, №488-490, №528, №542, №560, №839, №141)** ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **385 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გაზარების შესაძლებლობა (ს/კ: **01.18.09.004.074 - №347, №416, №628, №630-631, №659-660, №689-694, №698-699, №702, №706-711, №715, №717-718, №720-733, №736-744, №746-754, №758-764, №771-772, №774-775, №777-795, №797-811, №813-825, №827-829, №834-836, №838, №842, №845-847, №849, №853-854, №857-858, №861-878, №880-888, №890-903, №914-925, №927-928, №930-935, №938-946, №957, №982, №986-991, №1001-1003, №1008,**

№1012-1015, №1027, №1029-1035, №1040, №1046, №1048-1053, №1055-1058, №319, №326, №333, №348, №719, №755-756, №765, №770, №913, №1054, №397, №422, №536, №695-696, №703, 879, №1011, №1026, №1041, №146, №391, №393, №616, №993, №1010, №139, №179, №186, №283, №296, №299, №307-311, №405, №577, №579, №619-621, №624-625, №632, №661, №757, №766-768, №1037-1039, №546-548, №697, №714, №773, №843, №1028, №1045, №8-13, №16-18, №22, №47-49, №51, №312-318, №320-323, №327-332, №334-337, №343, №461, №495, №522-527, №529, №531-532, №543-544, №549-556, №578, №580-584, №831-833, №1042-1043, 1047) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **385 ძირი** მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **5 ძირი (ს/გ: 01.18.09.004.074 - №283, №338, №617, №626, №812)** გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული/გადასარგავი: 595 ძირი** მწვანე ნარგავი; **საპროექტოდ დასარგავი: 10 ძირი პიმალაის კედარი, 10 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; ჯამში - 615 ერთეული**) სრულად ითვსებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს (**სსზ-2 = 0.3 = 3 659.1 მ²**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება საზოგადოებრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.**

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01241723191
თარიღი: 20/06/2024

2024 წლის 19 ივნისის N 01241713536-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დიმიტრი გულიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.09.004.074) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

ირკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ავტობუსების გაჩერებები მდებარეობს უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის წინ და გააჩნია რეზერვი. ამავდროულად, ახალი საავტობუსო ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია (გორგასალის ქ.) მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ასევე მიმდებარე ქუჩებზე განახლება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოწესრიგებულია საქვეითე ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

